



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლორთქიფანიძე ილია გიორგის ძე

ლორთქიფანიძე ილია გიორგის ძე (5. VIII. 1896, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, - 9. VIII. 1941, თბილისი), პედიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1935). ოდესის უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ (1920) მუშაობა დაიწყო იქვე, ნ. სტრაჟესკოს კლინიკაში, 1921-იდან (თბილისში გადმოსვლის შემდეგ) - ს. გოგიტიძესთან და ვ. ვორონინთან. 1931-34 იყო თბილ. სამედ. ინ-ტის ბავშვთა სნეულებების, 1934-35 კი - ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრების გამგე. 1935-37 ერთდროულად განაგებდა თბილ. სამედ. და ექიმთა დახელოვნების ინ-ტების პედიატრიის კათედრებს. იყო ბავშვთა I საავადმყოფოს ერთ-ერთი დამაარსებელი და დირექტორი (1937-41).

ლ. იკვლევდა ჩვილ ბავშვთა პნევმონიას, ფილტვისა და პლევრის ჩირქოვან დაავადებებს, ფილტვის ტუბერკულოზს, ანემიას და სხვ.

თხზ.: მასალები ექსპერიმენტული ჰემორაგიული ანემიის პათოლოგიისათვის, ტფ., 1933.

ლიტ.: შოთაძე ფ., ჭყონია ე., ილია გიორგის ძე ლორთქიფანიძე, თბ., 1966.
